

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნიკო მუსხელიშვილის სახელობის
გამოთვლითი მათემატიკის
ინსტიტუტის

2011 წლის

სამეცნიერო ანბარი

შინაარსი

შესავალი	3
თავი 1. 2011 წლის საბიუჯეტო სამუშაო პროგრამები	4
თავი 2. გრანტები	7
თავი 3. სამეცნიერო შედეგების მოკლე აღწერა	9
გამოთვლითი მეთოდების განყოფილება	9
აღბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილება	15
მათემატიკური მოდელირების განყოფილება	22
ინფორმატიკის განყოფილება	27
თავი 4. მივლინებები	29
თავი 5. დამატებითი ინფორმაცია	30
დანართი 1. 2011 წელს გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებლად გადაცემული ნაშრომები	32
დანართი 2. 2011 წელს საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სამეცნიერო ფორუმებზე წაკითხული მოსხენებები	37
დანართი 3. გრანტების ჩამონათვალი	42

შესავალი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში ამჟამად ფუნქციონირებს 4 სამეცნიერო განყოფილება და კომპიუტერული ცენტრი. 2011 წლის ბოლოს ინსტიტუტში მუშაობდა 65 თანამშრომელი. აქედან სამეცნიერო თანამდებობა უჭირავს 34-ს, რომელთაგან 12 მთავარი მეცნიერ-თანამშრომელია, 8 – უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 14 – მეცნიერ-თანამშრომელი. ინსტიტუტის თანამშრომლებიდან ერთი არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, 12 მეცნიერებათა დოქტორია და 23 კი – მეცნიერებათა კანდიდატი.

საანგარიშო წლის განმავლობაში ინსტიტუტის თანამშრომლებმა: გამოაქვეყნეს 30 ნაშრომი, მათ შორის 3 მონოგრაფია; გამოსაქვეყნებლად გადასცეს 9 ნაშრომი; მოამზადეს გამოსაქვეყნებლად 7 ნაშრომი (იხ. დანართი 1).

საანგარიშო პერიოდში ინსტიტუტში მუშავდებოდა: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 3 სახელმწიფო-სამეცნიერო საგრანტო პროექტი; 1 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგრანტო პროექტი; 6 საინსტიტუტო საგრანტო პროექტი. ინსტიტუტის ერთ თანამშრომელს მიენიჭა საერთაშორისო გრანტი PEER (იხ. თავი 2).

ინსტიტუტი, როგორც სტუ-ს წარმომადგენელი, კოორდინატორია ევროკავშირის მე-7 ჩარჩო-პროგრამის საგრანტო პროექტის №266155 (GEO-RECAP). (იხ. თავი 2).

ინსტიტუტის თანამშრომლებმა საანგარიშო წელს მონაწილეობა მიიღეს და 37 მოხსენებით გამოვიდნენ 13 საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელთაგან 7 ჩატარდა საზღვარგარეთ, და 4 მოხსენებით – 1 ადგილობრივ კონფერენციაზე (იხ. დანართი 2).

თავი 1. 2011 წლის საბიუჯეტო სამუშაო პროგრამა

გამოთვლითი მეთოდების განყოფილება

თემა: ზოგიერთი კლასის ორიენტირებული მიახლოებითი სქემები და რიცხვითი ექსპერიმენტი

(თემის ხანგრძლივობაა ოთხი წელი, 2011-2014)

I ეტაპი, 2011 წელი

1. სააპროქსიმაციო სქემები კოშის ტიპისა და შესაბამისი სინგულარული ინტეგრალებისათვის. მათი გამოყენების ძირითადი კრიტერიუმები.
2. ჰარმონიულ და ბიჰარმონიულ ფუნქციათა კლასებთან დაკავშირებული გარკვეული სასაზღვრო ამოცანების რიცხვითი ამოხსნის ორიენტირებული რიცხვითი ალგორითმები სხვადასხვა ტიპის კონკრეტული არეებისათვის.
3. ფენოვან გარსთა თეორიის არაწრფივი დეფორმაციის ამოცანების ამოხსნის ზოგიერთი ალგორითმის აგებისა და რეალიზაციის საკითხები.
4. არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა ალგებრული თეორიის საკითხები.
5. კვანტური ველის პრობლემატიკასთან დაკავშირებული ზოგიერთი კლასის ამოცანები.

ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილება

თემა: ალგებრულ სტრუქტურებში ალბათურ - სტატისტიკური ამოცანები

(თემის ხანგრძლივობაა ოთხი წელი, 2011-2014)

I ეტაპი, 2011 წელი

1. უპირობოდ და დიაგონალურად კანონიკური გაუსის შემთხვევითი ელემენტები.

2. შემთხვევითი მწკრივების კრებადი გადანაცვლებების არსებობის საკითხების შესწავლა. გამოყენებები ფუნქციონალურ ანალიზსა და განრიგების თეორიაში.
3. სტოქასტური ტიპის რიმან-სტილტესის ინტეგრალის კვლევა უსასრულოგანზომილებიან შემთხვევაში.

მათემატიკური მოდელირების ბანყოფილება

თემა: სოციალური და ეკონომიკური ამოცანების მათემატიკური მოდელირება და შესაბამისი გამოთვლითი მეთოდებისა და ოპტიმალური ალგორითმების დამუშავება.

(თემის ხანგრძლივობაა ოთხი წელი, 2011-2014)

I ეტაპი, 2011 წელი

1. საბაზრო ეკონომიკის ზოგიერთი ამოცანის მათემატიკური მოდელის დამუშავება თამაშთა თეორიის ჩარჩოებში.
2. მარაგთა მართვის ერთი მრავალარხიანი ამოცანის მათემატიკური მოდელის დამუშავება.
3. აგროსამრეწველო ინტეგრირებული ფორმირებების ოპტიმალური ფუნქციონირების ეკონომიკური მათემატიკური მოდელისა და მათი რეალიზების შესაბამისი ალგორითმების დამუშავება.
4. გარემოს დაბინძურებისა და გულისხმადარღვთა დაავადებების კორელაციური და რეგრესიული კავშირების გამოკვლევა მონიტორინგის ახალი სტატისტიკური მასალის საფუძველზე.
5. კრიპტოგრაფიული ამოცანების კვლევა ელიფსური წირების თეორიის მეთოდებით.
6. განზოგადებულად ცენტრალური ალგორითმების აგება არაკორექტული და კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანებისათვის.

ინფორმაციის განყოფილება

ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების კვლევა და დამუშავება
(თემის ხანგრძლივობაა ოთხი წელი, 2011-2014)

I ეტაპი, 2011 წელი

1. თანამედროვე ფუნქციონალური პროგრამების სპეციფიკაციის საკითხები.
2. ელიფსური წირების თეორიულ-რიცხვითი ასპექტები.
3. მარკოვის ტიპის სისტემების აგრეგირების საკითხები.
4. სიმეტრიული დაშიფვრის კრიპტოგრაფიული სისტემები.
5. კონფლიქტების მართვის ზოგადი ინფორმაციული მოდელები (2 წელი).
6. მათემატიკური ფიზიკის ამოცანების ამოხსნის პარალელური ალგორითმები.

თავი 2. გრანტები

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები

- **პროექტი GNSF/ST08/3-384:** “მაქსიმალური უტოლობები გადანაცვლებებისთვის, გამოყენებები ფუნქციონალურ ანალიზსა და დაგეგმვის თეორიაში”. ხელმძღვანელი – ს. ჩობანიანი. ძირითადი პერსონალი: ა. შანგუა (მენეჯერი), ლ. ჩობანიანი, ვ. ტარიელაძე, გ. გიორგობიანი. პროექტის ხანგრძლივობა – 3 წელი. <http://gnsf.dynup.net/PUBLIC2008/default.aspx>
- **პროექტი GNSF/ST08/3-390:** “სინგულარული ინტეგრალების აპროქსიმაციისა და ფუნდამენტურ ამოხსნათა მეთოდების გამოყენების შესახებ ზოგიერთი კლასის სასაზღვრო ამოცანების მიახლოებით ამოხსნებში”. ხელმძღვანელი – ჯ. სანიკიძე. ძირითადი პერსონალი: მ. ზაქრაძე (მენეჯერი), გ. ქუთათელაძე, მ. მირიანაშვილი. პროექტის ხანგრძლივობა – 3 წელი. <http://gnsf.dynup.net/PUBLIC2008/default.aspx>
- **პროექტი GNSF/FT09_99_3-104:** “ალბათური განაწილებების დახასიათების ამოცანები და მათი გამოყენებები”. ხელმძღვანელი – ვ. ტარიელაძე. ძირითადი პერსონალი: ვ. კვარაცხელია (მენეჯერი), ნ. ვახანია, ბ. მამფორია, გ. ჭელიძე პროექტის ხანგრძლივობა – 3 წელი. <http://217.147.224.46/PUBLIC2009/default.aspx>

საერთაშორისო გრანტები

- **ევროკავშირის გრანტი FP7 ჩარჩო პროგრამის ფარგლებში: “Re-creation and building of capacities in Georgian ICT Research Institutes” (GEO-RECAP).** 2010-2012. FP7 Capacities Work programme 2010; Activity 7.6. Area INCO.2010-6.1: Eastern Europe and South Caucasus. Project N° 266155. <http://www.georecap.eu>

- **PEER-ს გრანტი. ს. ჩობანიანი.** (The Partnership for Economics Education and Research) “მათემატიკა ეკონომიკისათვის” კურსის წასაკითხად ISET-ში (International School of Economics at TSU).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრანტები

- **გრანტი №102. ინფორმატიკის განყოფილება.** (1/06/2011 - 31/12/2011). საგრანტო თემის სათაური: “კლასტერულ-გამოთვლით სისტემებში სწრაფი ძებნის პარალელური პროგრამების დამუშავება და ვერიფიკაცია”.

საინსტიტუტო გრანტები

- **გრანტი №1:** “მაღალი სიზუსტის კვადრატურული ფორმულები სინგულარული და კოშის ტიპის ინტეგრალებისათვის ზოგიერთი კლასის სასაზღვრო ამოცანაში” (ხელმძღვანელი ჯ. სანიკიძე);
- **გრანტი №2:** “სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დინამიკური მოდელეები” (ხელმძღვანელი ჯ. გიორგობიანი);
- **გრანტი №3:** “მათემატიკური ფიზიკისა და დრეკადობის თეორიის ამოცანები ელიფსური წირებით შემოსაზღვრული არეებისათვის” (ხელმძღვანელი გ. ხატიაშვილი);
- **გრანტი №4:** “მოდულიზირებული ფურიეს მეთოდის აგება არაწრფივი დიფერენციალური განტოლებებისათვის” (ხელმძღვანელი ზ. ხუხუნაშვილი);
- **გრანტი №5:** “ახალი კრიპტოგრაფიული სისტემის აგება” (ხელმძღვანელი ზ. ყიფშიძე);
- **გრანტი №6:** “საგნობრივი არის ერთიანი ანალიტიკური ინფორმაციული სივრცის აგება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მაგალითზე” (ხელმძღვანელი გ. ღლონტი).

თავი 3. სამეცნიერო შედეგების მოკლე აღწერა

გამოთვლითი მეთოდების განყოფილება

(განყოფილების გამგე – მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯ. სანიკიძე)

განყოფილების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა საანგარიშო წელს მიმდინარეობდა განყოფილების სამეცნიერო მიმართულებებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული საკითხების ფარგლებში, როგორც თეორიული, ასევე გამოთვლითი სქემების რეალიზაციასთან დაკავშირებული ასპექტების გათვალისწინებით.

შესაბამისი საკითხების ფონზე არსებითი ყურადღება საანგარიშო პერიოდში ეთმობოდა შემდეგ თეორიულ და გამოყენებით საკითხებს:

1. აიგო მაღალი სიზუსტის (ქვემოთ მოყვანილი კრიტერიუმების თვალსაზრისით) დისკრეტულ განსაკუთრებულობათა ტიპის კვადრატურული ფორმულები კოშის ტიპის სინგულარული ინტეგრალებისათვის. ამ მიმართულებით განხორციელებული მიდგომა, რომელიც განყოფილებაში იქნა შემუშავებული, საშუალებას იძლევა სიზუსტის გაზრდის ეფექტთან ერთად გაიზარდოს დასაშვები სინგულარობების რიცხვი. ამის შესაძლებლობა უზრუნველყო კლასიკურ ლიტერატურაში კარგად ცნობილმა ჩებიშევის კვადრატურული ფორმულების (ტოლი კოეფიციენტებით) გამოყენებამ. გარდა ამისა, აიგო გაუსის სიზუსტესთან მიახლოებული კვადრატურული ფორმულები კოშის ტიპის ინტეგრალებისათვის. ეს საკითხი იაკობის ზოგადი წონითი ფუნქციების შემთხვევაში დაკავშირებულია შესაბამისი დასახელების მეორე გვარის ფუნქციების ნულების გამოთვლასთან. უმარტივეს, მაგრამ პრაქტიკულად მნიშვნელოვან, ჩებიშევის მეორე გვარის პოლინომის ნულების გამოყენებასთან დაკავშირებულ შემთხვევებში, შესაბამისი სქემები ეფექტურად რეალიზებადია. ზოგად შემთხვევაში საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ზოგიერთი შედეგი გამოქვეყნდა მიმდინარე წელს ზოგიერთ უცხოურ ჟურნალში, ხოლო გარკვეული ნაწილი კი აისახა მიმდინარე წლის საინსტიტუტო გრანტის ანგარიშში.

2. შესწავლილი და ამოხსნილია ბრტყელი დეფორმაციის ე.წ. დამხმარე ამოცანები ორშრიანი კონფოკალური ელიფსისათვის. ბრტყელი დაძაბულობისა და გადაადგილების მდგომარეობისათვის ამოხსნილია ღირისლესა და ნეიმანის ამოცანები. ამ მიმართულებით მიღებული ზოგიერთი შედეგი ასახულია ნაშრომში, რომლის გამოქვეყნება გათვალისწინებულია საინსტიტუტო გრანტის ჩარჩოებში.

3. აგებულია ალგორითმები ჰარმონიული ფუნქციისათვის ღირისლეს განზოგადებული ამოცანის მიახლოებითი ამოხსნისათვის ხერხელების მქონე უსარულო სიბრტყის შემთხვევაში. ეს ალგორითმები პირობითად იყოფა სამ ტიპად: ა) ალგორითმები, რომლებიც გულისხმობს დასმული განზოგადებული ამოცანის ჩვეულებრივზე დაყვანას და შემდეგ ამ უკანასკნელის ამოხსნას მოდიფიცირებულ ფუნდამენტურ ამოხსნათა მეთოდით; ბ) ალგორითმები, რომლებიც ეფუძნება კონფორმულ ასახვათა მეთოდის გამოყენებას; გ) ალგორითმები, რომლებიც გულისხმობს ალბათური მეთოდის გამოყენებას. ჩატარებულმა რიცხვითმა ექსპერიმენტებმა აჩვენა აგებული ალგორითმების სიმარტივე და ეფექტურობა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პირველი ტიპის ალგორითმები, რომლებიც საშუალებას იძლევა პრაქტიკისათვის მისაღები სიზუსტით ამოიხსნას დასმული ამოცანა ჭრის ტიპის მქონე უსასრულო სიბრტყისათვის. აღნიშნული ალგორითმები და მიღებული რიცხვითი შედეგები ასახულია სათანადო სტატიებში.

4. ფენოვანი ცილინდრული გარსის გეომეტრიულად არაწრფივი დეფორმაციის შემთხვევისათვის მიღებულია აღნიშნული კლასის ამოცანების ამომხსნელი არაწრფივ განტოლებათა სისტემა. ამ უკანასკნელის რიცხვითი რეალიზაციის (რიცხვითი ექსპერიმენტის) საფუძველზე შესწავლილია ცილინდრული გარსის სიხისტის გაგლეხა ე.წ. ჩაღუნვის ფუნქციის ყოფაქცევაზე. ამასთან დაკავშირებით გამოსაქვეყნებლად მომზადდა სამეცნიერო სტატია.

5. საანგარიშო წელს გრძელდებოდა არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა ამოხსნების ალგებრული თვისებების შესწავლა. ასეთი თვისებები მნიშვნელოვანი დასკვნების შესაძლებლობებს იძლევა შესაბამის განტოლებათა შემდგომი გამოყენებების მიმართულებით. ანალოგიური ტიპის საკითხების შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შესაბამისი კლასის ისეთი განტოლებებისათვის, რომელთაც გააჩნიათ პრაქტიკული ხასიათის გამოყენებები. აღსანიშნა-

ვია, რომ შესაბამისი საკითხების შესწავლა დაკავშირებულია მნიშვნელოვან სიძნელეებთან და სხვადასხვა შემთხვევებში ინდივიდუალურ მიდგომებს მოითხოვს. აღნიშნული მიმართულება მნიშვნელოვანწილად არის ასახული განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის ზ. ხუხუნაშვილის ნაშრომში "Обобщенные методы Фурье для нелинейных уравнений в частных производных", რომელიც ამჟამად მზადდება გამოსაქვეყნებლად.

6. ბოლო წლებში განყოფილებაში გარკვეული საფუძველი ჩაეყარა კვანტური ველის თეორიის ზოგიერთი საკითხის შესწავლას. უნდა აღინიშნოს, რომ გამოყენებითი ფიზიკის ამოცანების რიცხვითი ამოხსნის საკითხებს განყოფილებაში ადრეც ექცეოდა ყურადღება, თუნდაც ე.წ. ლიპმან-შეინგერის ინტეგრალური განტოლებების ამოხსნის გამოთვლითი მეთოდების დამუშავებისა და სათანადო რიცხვითი ექსპერიმენტის გამოყენების თვალსაზრისით. გარკვეული შედეგები ამ მიმართულებით მიღებულია საანგარიშო პერიოდშიც. მიმდინარე წელს განყოფილებაში ჩატარებული კვლევების გამოყენების საფუძველზე გამოიცა მონოგრაფია. აგრეთვე მომზადდა შესაბამისი საკითხების გარკვეულ გააზრებებთან დაკავშირებული სამეცნიერო სტატია (დ. კურდღელაიძე).

განყოფილების თანამშრომელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილისა და პროფესორ დავით კვესელავას საიუბილეო წლებთან დაკავშირებული სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში. ჯ. სანიკიძემ და კ. კუპატაძემ მონაწილეობა მიიღეს უკრაინაში (ხერსონის ოლქი, ლაზურნოე) გამართული სიმპოზიუმის "Метод дискретных особенностей в задачах математической физики (МДОЗМФ)" მუშაობაში. სიმპოზიუმის მასალები გამოქვეყნდა უკრაინის სამეცნიერო გამოცემებში. ჯ. სანიკიძე წელს მიწვეული იყო, აგრეთვე, ქ. პენზაში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე.

საანგარიშო პერიოდში განყოფილების თანამშრომლების ავტორობით: გამოქვეყნდა 3 მონოგრაფია და 8 სამეცნიერო სტატია, იბეჭდება 1 და მომზადებულია გამოსაქვეყნებლად 1 ნაშრომი (იხ. დანართი 1, [1-11], [31], [40]).

სტატია [4] ეძღვნება გაუსის ტიპის სპეციალური კვადრატურული ტიპის პროცესების აგებასა და შესწავლას კოშის ტიპის ინტეგრალისათვის.

ნაშრომში [5] პირველად აგებულია დისკრეტულ განსაკუთრებულობათა ცნობილი მეთოდის მაღალი სიზუსტის ერთი ვარიანტი შესაბამისი დამატებითი წევრის შეფასებით.

წინა ნაშრომისაგან განსხვავებით ნაშრომში [6] განხილვის ობიექტს წარმოადგენს ე.წ. გართულებული ტიპის კვადრატურული პროცესები, რომლებიც სინგულარული და კომის ტიპის ინტეგრალური ჯამების კომბინაციებით წარმოიდგინება.

სტატია [7] ეძღვნება მიახლოებით აგებული კონფორმულად გადამსახველი ფუნქციის ცალფურცლობის გამოკვლევის საჭიროებას, როცა აღნიშნული ფუნქცია გამოიყენება პრაქტიკული ამოცანის ამოსახსნელად.

ნაშრომში [8] განხილულია მუდმივკოეფიციენტებიანი სითბოგამტარობის წრფივი განტოლებისათვის დასმული პირველი საწყის-სასაზღვრო ამოცანა $\Omega \times (0, T]$ არეში, სადაც Ω ერთეულოვანი კვადრატია. სტეკლოვის გასაშუალების ოპერატორების გამოყენებით 18 წერტილიან შაბლონზე აგებულია მაღალი რიგის სიზუსტის ორშირანი ცვალებადი მიმართულებით არაცხადი სხვაობიანი სქემა. დამტკიცებულია, რომ თუ ზუსტი ამონახსნი მიეკუთვნება სობოლევის ანიზოტროპულ $W_2^{s, s/2}$, $s \in (2, 4]$ სივრცეს, მაშინ სასრულ-სხვაობიანი სქემის დისკრეტული L_2 -ნორმით კრებადობის სიჩქარეა $O(h^s + \tau^{s/2})$.

ნაშრომში [9] განხილულია კომის ამოცანა კვაზიწრფივი ჰიპერბოლური განტოლებისათვის შესაძლო პარაბოლური გადაგვარებით. დადგენილია ამოხსნის გავრცელების არეებში არაწრფივი ტალღის ე.წ. "შეუღწევადობის ქვეარეების" არსებობის საკმარისი პირობები.

ნაშრომში [10] შესწავლილია არალოკალური მახასიათებელი ამოცანა მეორე რიგის კვაზიწრფივი ჰიპერბოლური განტოლებისათვის შესაძლო პარაბოლური გადაგვარებით.

ნაშრომში [11] განხილულია კომის ამოცანა კვაზიწრფივი ჰიპერბოლური განტოლებისათვის შეკრული მზიდის შემთხვევაში. შესწავლილია ამოცანის კორექტულობა, დადგენილია ამოხსნის არსებობისა და ერთადერთობის საკმარისი პირობები და ამოხსნის განსაზღვრის გლობალური არე.

ნაშრომში [31] მოცემულია ჰარმონიული ფუნქციისათვის დირიხლეს განზოგადებული ამოცანის ჩვეულებრივზე დაყვანის ერთი მეთოდი, რომელიც ხასიათდება სიმარტივითა და მაღალი სიზუსტით. აღნიშნული მეთოდი აგებულია ფიქტიური წყაროების საფუძველზე და გამოიყენება როგორც სასრული, ასევე უსასრულო არეების შემთხვევაში.

ნაშრომში [40] შესწავლილია საკითხი, თუ როგორ შეიძლება გამოყენებული იქნეს კონფორმულ გადასახვათა მეთოდი დირიხლეს განზოგადებული ამოცანის ამოსახსნელად ჰარმონიული ფუნქციის შემთხვევაში.

განყოფილების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 7 სამეცნიერო კონფერენციაში, სადაც გააკეთეს 13 მოხსენება (დანართი 2, [1-3], [8], [11-14], [20-23], [32]);

განყოფილებაში მუშავდებოდა 3 საინსტიტუტო გრანტი:

გრანტი №1 - “მაღალი სიზუსტის კვადრატურული ფორმულები სინგულარული და კოშის ტიპის ინტეგრალებისათვის ზოგიერთი კლასის სასაზღვრო ამოცანებში” (ხელმძღვანელი ჯ. სანიკიძე);

გრანტი №3 - “მათემატიკური ფიზიკისა და დრეკადობის თეორიის ამოცანები ელიფსური წირებით შემოსაზღვრული არეებისათვის” (ხელმძღვანელი გ. ხატიაშვილი);

გრანტი №4 - “მოდიფიცირებული ფურიეს მეთოდის აგება არაწრფივი დიფერენციალური განტოლებებისათვის” (ხელმძღვანელი ზ. ხუხუნაშვილი).

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი GNSF/ST08/3-390

საანგარიშო წელს სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი GNSF/ST08/3-390-ის თემატიკით განსაზღვრული იყო შემდეგი ამოცანების შესრულება: ა) გაუსის ტიპის კვადრატურული ფორმულები უძრავი განსაკუთრებულობების მქონე სინგულარული ინტეგრალებისთვის; ბ) კოშის ტიპის ინტეგრალების თანაბარი აპროქსიმაცია ღია კონტურების შემთხვევაში; გ) კვანტური ველის თეორიის ერთი სინგულარული ინტეგრალური განტოლების მიახლოებითი ამოხსნა; დ) ბზარების თეორიის ეფექტურად ამოხსნადი ამოცანები; ე) ჰარმონიულ ფუნქციათა თეორიის

განზოგადებული ამოცანის მიახლოებითი ამოხსნა ხერხებიანი სიბრტყის შემთხვევაში; ვ) სარეალიზაციო გამოთვლითი სქემების პროგრამული უზრუნველყოფა და ზ) კონფორმული ასახვის გამოყენება ჰარმონიულ ფუნქციათა თეორიის ერთი სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნისთვის.

დასახული ამოცანების გადასაჭრელად:

- შესწავლილი იქნა კვანტურ მექანიკაში კარგად ცნობილი ლიპმან-შვინგერის ინტეგრალური განტოლება $[0,+\infty)$ -ზე გავრცელებული ინტეგრალით, რომელიც ფიქსირებულ განსაკუთრებულობებს შეიცავს. ასეთი ინტეგრალური განტოლების მიახლოებითი ამოხსნისათვის აიგო მაღალი სიზუსტის მქონე სააპროქსიმაციო სქემები (იხ. დანართი 1, [4-6]).
- ბზარების თეორიის ზოგიერთი ამოცანისთვის გამოკვლეული იქნა მათი ეფექტური სახით ამოხსნის შესაძლებლობა კოშის ტიპის ინტეგრალების საშუალებით. დადგინდა ამ ინტეგრალების ყოფაქცევა ბზარების ბოლოების მახლობლობაში.
- ხერხებიანი სიბრტყის შემთხვევაში აიგო ჰარმონიულ ფუნქციათა თეორიის განზოგადებული ამოცანის მიახლოებითი ამოხსნის ალგორითმი, რომელიც ითვალისწინებს განზოგადებული ამოცანის დაყვანას დირიხლეს ჩვეულებრივ ამოცანაზე მოცემული სასაზღვრო ფუნქციის გაგლუვების გზით (იხ. დანართი 1, [40]).
- სათანადო მათემატიკური სქემით ამოხსნილია გარკვეული ტიპის სინგულარული ინტეგრალური განტოლება. Matlab სისტემის გარემოში შედგენილია შესაბამისი სათვლელი პროგრამა, რომელიც იძლევა განტოლების ამონახსნს ელიფსურ კონტურზე.

გრანტის თემატიკით გათვალისწინებული სამუშაოების ნაწილი უკვე გამოქვეყნდა (იხ. დანართი 1, [4-6]), ხოლო ნაწილი გადაცემულია გამოსაქვეყნებლად (იხ. დანართი 1, [40]).

საანგარიშო წელს გრანტის შემსრულებლები პროექტის თემატიკასთან დაკავშირებული მოხსენებებით გამოვიდნენ ორ საერთაშორისო კონფერენციაზე: ნიკო მუსხელიშიელის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო

კონფერენციაზე “უწყვეტ გარემოთა მექანიკა და ანალიზის მონათესავე საკითხები” (თბილისი, 9-14 სექტემბერი) და საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის მე-2 საერთაშორისო კონფერენციაზე (ბათუმი, 15-19 სექტემბერი) (იხ. დანართი 2, [1-3]).

საგრანტო პროექტის 2011 წლის გეგმით გათვალისწინებული საკითხები სისტემატურად იხილებოდა გამოთვლითი მეთოდების განყოფილების მუდმივმოქმედ სამეცნიერო სემინარზე.

ალბათურ - სტატისტიკური მეთოდების განყოფილება

(განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. ტარიელაძე)

1. დიაგონალურად და უპირობოდ კანონიკური გაუსის შემთხვევითი ელემენტები. გაუსის შემთხვევითი ელემენტისა და გაუსის ზომის ცნებები ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ფუნდამენტური ცნებებია. ისინი შემოღებული იქნა ა. კოლმოგოროვისა (1936) და მ. ფრეშეს (1951) მიერ. მათ შემსახებ მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ნ. ვახანიამ. განყოფილებაში საანგარიშო წელს გააგრძელა თავისი მუშაობა ამ ცნებების შემდგომი შესწავლის მიმართულებით. კერძოდ, შემოღებული იქნა დიაგონალურად კანონიკური და უპირობოდ კანონიკური გაუსის შემთხვევითი ელემენტების ცნება. ადრე შენიშნული იყო, რომ მიმდევრობათა ჰილბერტის l_2 სივრცეში გაუსის ყოველი შემთხვევითი ელემენტი დიაგონალურად კანონიკურია. ამასთან დაკავშირებით პასუხი გაეცა მე-20 საუკუნის 70-იანი წლებში ნ. ვახანიას მიერ დასმულ შემდეგ შეკითხვას: ვთქვათ $1 \leq p < \infty$ და $p \neq 2$. არის თუ არა მიმდევრობათა l_p სივრცეში გაუსის ყოველი შემთხვევითი ელემენტი დიაგონალურად კანონიკური? განყოფილებაში მიმდინარე კვლევებმა აჩვენა, რომ პასუხი უარყოფითია.

1980 წელს ს. კვაპინისა და ბ. შიმანსკის ნაშრომში დამტკიცდა ისეთი ბანახის სივრცის არსებობა, რომელშიც მოიძებნება გაუსის შემთხვევითი ელემენტები, რომლებიც არ არიან უპირობოდ კანონიკური. იმავე ნაშრომში გამოთქმუ-

ლია ვარაუდი, რომ უპირობო ბაზისიან ბანახის სივრცეებში გაუსის ყოველი შემთხვევითი ელემენტი უნდა იყოს უპირობოდ კანონიკური. ნ. ვახანიას ზემოთ ხსენებულ შეკითხვაზე უარყოფითი პასუხის გაცემამ საშუალება მოგვცა დაგვემტკიცებინა, რომ კვაპიენ-შიმანსკის ვარაუდი არ არის სწორი უპირობო ბაზისიან $L_p, 2 < p < \infty$, სივრცეებისათვის. ამ თემაზე მომზადებული სტატია გადაცემულია გამოსაქვეყნებლად (იხ. დანართი 1, [35]).

2. შემთხვევითი მწკრივების კრებადი გადანაცვლებების არსებობის საკითხის შესწავლა. გამოყენებები ფუნქციონალურ ანალიზსა და განრიგების თეორიაში. შემთხვევითი მწკრივების კრებადობის საკითხის შესწავლა დაკავშირებულია კ. შტეინჰაუზის, ა. კოლმოგოროვის, ა. ზიგმუნდის, რ. პელის, ჟ.პ. კახანის სახელებთან. მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან ცნობილია ა. კოლმოგოროვის მიერ გამოთქმული შემდეგი ჰიპოთეზა: შემთხვევით სიდიდეთა ყოველი ორთონორმირებული სისტემა შეიძლება ისე გადაგანაცვლოთ, რომ გადანაცვლებული სისტემა იქნება კრებადობის სისტემა. ის გარემოება, რომ გადანაცვლება აუცილებელია ამ ჰიპოთეზის მართებულობისათვის, ნაჩვენები იყო კვლავ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში დ. მენშოვის მიერ. ამ მიმართულებით პირველი დადებითი შედეგი მიიღო ა. გარსიამ 1964 წელს. შემდეგ, 1964 წელს, ე. ნიკიშინმა მიიღო უფრო ზოგადი შედეგი. საანგარიშო წელს ამ მიმართულებით ინტენსიურად მუშაობდა განყოფილების წევრი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ს. ჩობანიანი. მიღებული იქნა ერთი უტოლობა, რომელიც საკვანძო როლს ასრულებს კოლმოგოროვის ჰიპოთეზის დადებითად გადაწყვეტის თვალსაზრისით. ამ თემაზე მისი სტატია მომზადების პროცესშია.

კრებადი გადანაცვლების არსებობის საკითხებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ე.წ. “გადანაცვლების თეორემა”, რომელიც სწორია ბანახის სასრულგანზომილებიან სივრცეებში. საანგარიშო პერიოდში შესწავლილი იქნა მსგავსი დებულების მართებულობის საკითხი ზოგად შემთხვევაში. აღმოჩნდა, რომ გადანაცვლების თეორემის მართებულობა ახასიათებს სივრცის განზომილებას. სტატია გადაცემულია გამოსაქვეყნებლად (იხ. დანართი 1, [33]).

საანგარიშო პერიოდში განყოფილებაში შეისწავლებოდა განრიგების თეორიისათვის მნიშვნელოვანი უტოლობები. მიღებული შედეგები მზადდება გამოსაქვეყნებლად.

3. სტოქასტური ტიპის რიმან-სტილტიესის ინტეგრალის კვლევა უსასრულოგანზომილებიან სივრცეებში. სტოქასტური ინტეგრალის ცნება სპეციალური შემთხვევითი ფუნქციიდან ვინერის პროცესის მიმართ შემოტანილი იქნა კ. იტოს მიერ მე-20 საუკუნის 40-იან წლებში. ვექტორული შემთხვევითი ფუნქციებისათვის იტოს განსაზღვრებას უშუალოდ ვერ გამოვიყენებთ. საანგარიშო პერიოდში დასრულდა მუშაობა საკითხისადმი ახლებურ მიდგომაზე და მიღებული შედეგი გამოქვეყნდა კიდევ (იხ. დანართი 1, [19]).

განყოფილების თანამშრომელთა მიერ საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნდა 11 ნაშრომი, გადაცემულია დასაბუქლად 6 ნაშრომი (იხ. დანართი 1, [12-22], [32-37]).

ნაშრომში [12] მიღებულია ორმხრივი მაქსიმალური უტოლობა, რომელიც დამტკიცებულია ნორმირებული სივრცის ელემენტებისთვის და ზრდადი ამოხსნილი ფუნქციისათვის. უტოლობის მარჯვენა მხარე გვაძლევს გარსიას ცნობილ უტოლობას სკალარულ შემთხვევაში. მარცხენა მხარე გვიჩვენებს, რომ ზედა შეფასება გაუუმჯობესებადია. ნაშრომში აგრეთვე მოყვანილია კონსტრუქციული ალგორითმი ოპტიმალური გადანაცვლების მოძებნის ამოცანისათვის, რომელსაც აქვს გამოყენება დაგეგმვის თეორიაში.

ნაშრომში [13] დამტკიცებულია, რომ გადანაცვლების თეორემა არ არის მართებული უსასრულოგანზომილებიან ბანახის სივრცეებში.

ნაშრომში [14] ნაპოვნია შემთხვევითი მწკრივის თითქმის ყველგან კრებადი გადანაცვლების არსებობის ახალი პირობა, რომელიც გამოისახება ბლოკებში რადემახერის ჯამების ნულისკენ კრებადობით და აუმჯობესებს ამ მიმართულებით ადრე მიღებულ შედეგებს.

ნაშრომში [15] ნაპოვნია ჯამის შესაკრებთა თითქმის ყველგან კრებადობის საკმარისი პირობები, როცა ცნობილია, რომ ჯამი მიისწრაფის თითქმის ყველგან ნულისაკენ. მიღებული პირობები უფრო სუსტია, ვიდრე პირობები ლოევის ცნობილ მონოგრაფიაში და მარტიკაინენის სტატიაში. შედეგი გამოიყენება გადანაც-

ვლელეული მწკრევის თითქმის ყველგან კრებადობასთან დაკავშირებული კონტრ-მაგალითის აგებაში.

ნაშრომში [16] ანონსირებულია შემდეგი ახალი მაქსიმალური უტოლობა შესაკრებთა გადანაცვლებისათვის: დაუშვათ x_1, \dots, x_n ნორმირებული სივრცის ელემენტებია $x_1 + \dots + x_n = 0, t > 0$ - ნებისმიერი რიცხვია. მაშინ

$$\text{card} \{ \pi : \max_{1 \leq k \leq n} \| x_{\pi(1)} + \dots + x_{\pi(k)} \| > t \} \leq C \text{card} \{ \pi : \max_{1 \leq k \leq n} \| x_{\pi(1)} \vartheta_1 + \dots + x_{\pi(k)} \vartheta_k \| > t \}$$

სადაც $C > 0$ აბსოლუტური მუდმივია, $\pi : \{1, \dots, n\} \rightarrow \{1, \dots, n\}$ გადანაცვლებაა, ხოლო $\vartheta_1, \dots, \vartheta_n$ ნიშანთა ნებისმიერი ერთობლიობაა.

ნაშრომში [17] ნაჩვენებია, რომ გაუსის განაწილების პოიას დახასიათება არ არის სამართლიანი კვატერნიონული შემთხვევითი სიდიდის შემთხვევაში.

ნაშრომში [18] დამტკიცებულია უტოლობა, რომელიც ამყარებს კავშირს სხვადასხვა რიგის მომენტებს შორის.

ნაშრომში [19] განხილულია სტოქასტური დიფერენციალური განტოლება განზოგადოებული შემთხვევითი პროცესებისათვის და შესწავლილია არსებობისა და ერთადერთობის საკითხი, რაც საშუალებას იძლევა მივიღოთ შესაბამისი შედეგები სტოქასტური დიფერენციალური განტოლებისათვის ბანახის სივრცეში.

ნაშრომში [20] დამტკიცებულია იტოს ფორმულა განზოგადოებული იტოს პროცესებისა და ბანახის სივრცეში მნიშვნელობების მქონე იტოს პროცესებისათვის.

ნაშრომში [21] განხილულია სუსტად დამოუკიდებელი შემთხვევითი ელემენტები ბანახის სეპარაბელურ სივრცეში. მიღებულია ლევის უტოლობის ანალოგი.

ნაშრომში [22] ნაჩვენებია რომ სრული სეპარაბელური მეტრიზებადი ლოკალურად კვაზი-ამოზნექილი ტოპოლოგიური ჯგუფი შვარცისაა მაშინ და მხოლოდ მაშინ როცა უწყვეტ მახასიათებელთა ნებისმიერი წერტილობრივად კრებადი მიმდევრობა ლოკალურად თანაბრად კრებადიცაა.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი GNSF/ST08/3-384

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა მუშაობა სესფ-ის მიერ დაფინანსებულ სახელმწიფო-სამეცნიერო გრანტზე GNSF/ST08/3-384 ”მაქსიმალური უტოლობები გადანაცვლებებისთვის, გამოყენებები ფუნქციონალურ ანალიზსა და დაგეგმვის თეორიაში”. საანგარიშო წელს გრანტის თემატიკით განსაზღვრული იყო შემდეგი ამოცანების შესრულება: ა) მაქსიმალური უტოლობები გადანაცვლებებისთვის როგორც აბსტრაქტული წრფივი მეტრიკული სივრცის ელემენტებისთვის, აგრეთვე ფუნქციონალური მწკრივებისთვის, მათ შორის ორთონორმირებული სისტემებისთვის; ბ) მწკრივის ჯამთა სიმრავლის სტრუქტურის კვლევა, კერძოდ წრფივობისა და ჩაკეტილობის პირობების დადგენა; გ) ვექტორთა კომპაქტური შეჯამების მეთოდებით ისეთი გამოყენებითი ამოცანების კვლევა, როგორიცაა ოპტიმიზაციის ჯონსონის და აკერს-ფრიდმანის ამოცანები; მოცულობითი კალენდარული დაგეგმვის ამოცანა.

ამ მიმართულებებით 2011 წელს გამოქვეყნდა 6 სტატია და გამოსაქვეყნებლად გადაცემულია 4 სტატია (იხ. დანართი 1, [12-16, 22, 32-34, 37]). საგრანტო ჯგუფის წევრებმა წაიკითხეს 5 მოხსენება სამ სამეცნიერო ფორუმზე (იხ. დანართი 2, [15, 18, 24, 26, 35]).

აღნიშნულ შრომებში მიღებულია შემდეგი ახალი შედეგები:

- მიღებულია მაქსიმალური უტოლობები ნორმირებული სივრცის ელემენტების ოპტიმალური გადანაცვლებისათვის და საშუალოსათვის ყველა გადანაცვლების მიმართ. აგრეთვე მიღებულია უტოლობა, რომელიც აკავშირებს გადანაცვლებების და ნიშნების შესაბამის განაწილების ფუნქციებს. სკალარულ შემთხვევაში შედეგის სახით მიიღება: ა. გარსიას ცნობილი უტოლობა და თეორემა ორთოგონალური მწკრივის გადანაცვლების თითქმის ყველგან კრებადობის შესახებ; ე. ნიკიშინის თეორემის განზოგადება გადანაცვლებული მწკრივის თითქმის ყველგან კრებადობის შესახებ.
- ბანახის სივრცის ელემენტებისგან შედგენილი მწკრივისათვის მიღებულია თითქმის ყველა ნიშნებისთვის კრებადობის ანალოგი – კრებადობა თით-

ქმის ყველა გადანაცვლებებისათვის; ნაპოვია ამ შედეგის გამოყენება გარსია-ნიკიშინის პრობლემატიკაში ფუნქციონალური მწკრივებისთვის.

- მიღებულია: შემთხვევითი მწკრივის თითქმის ყველგან კრებადი გადანაცვლების არსებობის ახალი პირობა, რომელიც გამოისახება ბლოკებში რადემახერის ჯამების ნულისკენ კრებადობით და აუმჯობესებს ამ მიმართულებით ადრე მიღებულ შედეგებს; ჯამის შესაკრებთა თითქმის ყველგან კრებადობის საკმარისი პირობები, როცა ცნობილია, რომ ჯამი მიისწრაფვის თითქმის ყველგან ნულისაკენ.
- დამტკიცებულია, რომ რიმან-ლევი-შტეინინცის გადანაცვლების თეორემა არ არის მართებული უსასრულოგანზომილებიან ბანახის სივრცეებში; სრული სეპარაბელური მეტრიზებადი სივრცეების საკმარისად ფართო კლასში (კერძოდ ბანახის სივრცეში) ნაჩვენებია სპეციალური სახის უნივერსალური მწკრივის არსებობა.
- მიღებული მაქსიმალური უტოლობის გამოყენებით მოძებნილია კონსტრუქციული ალგორითმი ოპტიმალური გადანაცვლების მოძებნისთვის ვექტორთა კომპაქტური შეჯამების ამოცანაში, რომელსაც აქვს გამოყენება მოცულობითი კალენდარული დაგეგმვის თეორიასა და კონკრეტულ ამოცანებში.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი GNSF/ST09_99_3-104

საანგარიშო წელს სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი GNSF/ST09_99_3-104-ის თემატიკით განსაზღვრული იყო შემდეგი ამოცანების შესრულება: ა) სკიტოვიჩ-დარმუას თეორემის შესაძლო ვარიანტების გაანალიზება კვატერნიონული შემთხვევითი სიდიდეებისათვის; ბ) სუბგაუსის შემთხვევითი სიდიდეები. მომენტების არსებობა. ალტერნატიული დახასიათებები; გ) სკიტოვიჩ-დარმუას თეორემის დამტკიცება კვატერნიონული შემთხვევითი სიდიდეებისათვის და დ) სუბგაუსის მიმდევრობების და მწკრივების კრებადობების პირობების შესწავლა.

თეორიული და გამოყენებითი ასპექტების გათვალისწინებით გაუსის ზომის დახასიათებებს შორის საყურადღებო ადგილი უჭირავთ პოიას თეორემას და სკიტოვიჩ-დარმუას თეორემას. ეს თეორემები და მათთან დაკავშირებული ამოცანები

დღესაც არ კარგავს თავიანთ აქტუალობას და დღესაც მრავალი ნაშრომი იწერება როგორც მათი დამტკიცების გამარტივების, ასევე მათი შესაძლო განზოგადებების მიმართულებითაც. ამ საქმეში განყოფილების წევრებსაც გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი და მათ მიერ მიღებული შედეგები გამოქვეყნებულია უცხოეთის პრესტიჟულ სამეცნიერო ჟურნალებში. როგორც ეს საანგარიშო წლის გეგმით იყო გათვალისწინებული, ჯერ გაანალიზდა სკიტოვიჩ-დარმუას თეორემა-სთან და კვატერნიონულ შემთხვევით სიდიდეებთან დაკავშირებულ მასალები, ხოლო შემდეგ კი დამტკიცდა კიდევაც სკიტოვიჩ-დარმუას თეორემა კომპლექსური და კვატერნიონული შემთხვევითი სიდიდეებისათვის და მიღებული იქნა მისგან გამომდინარე შედეგები. უნდა აღინიშნოს, რომ დამტკიცების მეთოდი ორიგინალურია და ეყრდნობა განყოფილების თანამშრომლების მიერ ადრე დამტკიცებულ პოიას თეორემის ანალოგს კომპლექსური და კვატერნიონული შემთხვევითი სიდიდეებისათვის. მიღებული შედეგები ასახულია გამოსაქვეყნებლად მომზადებულ სტატიაში.

სუბგაუსის შემთხვევითი სიდიდეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც თეორიული, ასევე გამოყენებითი თვალსაზრისითაც. ასეთი ტიპის შემთხვევითი სიდიდეები შემოიღო ცნობილმა ფრანგმა მათემატიკოსმა ჟ.პ. კახანმა 1960 წელს და მათ შესწავლას, შემდგომში, მრავალი მეცნიერის ნაშრომი მიეძღვნა. გრანტის შემსრულებლების მიერ დაწვრილებით იქნა განხილული და შესწავლილი სუბგაუსის შემთხვევითი სიდიდეების თვისებები, გაანალიზდა მათი მომენტების არსებობის საკითხი, მოცემული იქნა სუბგაუსის შემთხვევითი სიდიდეების ალტერნატიული დახასიათებები და ამ შემთხვევითი სიდიდეებისათვის მიღებული იქნა ხინჩინის ტიპის უტოლობები. გარდა ამისა, დამტკიცდა მთელი რიგი შედეგებისა სუბგაუსის მიმდევრობების და მწკრივების კრებადობების შესახებ, რომელთა ბაზაზეც განზრახულია რამდენიმე სამეცნიერო სტატიის მომზადება.

საანგარიშო წელს გრანტის შემსრულებლები მოხსენებით გამოვიდნენ სამ საერთაშორისო კონფერენციაზე: ნიკო მუსხელიშვილის დაბადებიდან 120 წლის-თავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე “უწყვეტ გარემოთა მექანიკა და ანალიზის მონათესავე საკითხები” (თბილისი, 9-14 სექტემბერი), საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის მე-2 საერთაშორისო კონფერენციაზე (ბათუმი, 15-

19 სექტემბერი) და საერთაშორისო კონფერენციაზე “თანამედროვე ალგებრა და მისი გამოყენებები” (ბათუმი, 20-25 სექტემბერი).

გრანტის თემატიკით გათვალისწინებული სამუშაოების ნაწილი უკვე გამოქვეყნდა (იხ. დანართი 1, [17-22]), ხოლო ნაწილი გადაცემულია გამოსაქვეყნებლად (იხ. დანართი 1, [33, 35-37]).

განყოფილების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 4 სამეცნიერო კონფერენციაში, გააკეთეს 13 მოხსენება (დანართი 2, [15-18], [24-28], [33-36]).

საგრანტო პროექტების 2011 წლის გეგმით გათვალისწინებული საკითხები სისტემატურად იხილებოდა ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილების მულტიმომკმედ სამეცნიერო სემინარზე.

მათემატიკური მოდელირების განყოფილება

(განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დ. უგულავა**)

2011 წელს განყოფილებაში კვლევები მიმდინარეობდა მიკროეკონომიკის დინამიკურ ამოცანებზე, ოპერატორული განტოლებებისათვის ოპტიმალური ალგორითმის შედგენის, კრიპტოგრაფიის და სოციალური შინაარსის ამოცანებზე შემდეგი თემის შესაბამისად:

სოციალური და ეკონომიკური ამოცანების მათემატიკური მოდელირება და შესაბამისი გამოთვლითი მეთოდებისა და ოპტიმალური ალგორითმების დამუშავება. ამ მიმართულებით დამუშავებულია შემდეგი საკითხები:

1. **საბაზრო ეკონომიკის ზოგიერთი ამოცანის მათემატიკური მოდელის დამუშავება თამაშთა თეორიის ჩარჩოებში** (ჯ. გიორგობიანი, მ. ნაჭყებია). შესწავლილია მათემატიკური ეკონომიკის დინამიკური ამოცანები დისკრეტული დროით. დუოპოლის (ორი მწარმოებლის) შემთხვევაში ერთი პასიური მყიდველით მოდელი წარმოდგენილია მრავალბიჯიანი თამაშით. თამაში სრული ინფორმაციითაა და ანტაგონისტურ ვარიანტში ამოიხსნება წმინდა სტრატეგიებში.

კოოპერაციული თამაშის ვარიანტში განხილულია მოდელები რესისა და შეპლის არბიტრაჟული მიდგომებით. ანტაგონისტური მოდელი დაპროგრამებულია და მოსინჯულია ტესტურ მაგალითებზე. ოლიგოპოლიის (მრავალი გამყიდველის) შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს ერთ არსებით მყიდველთან (მრავალ წვრილ მომხმარებელთან), კოოპერაციული მოდელები წარმოდგება შესაბამისად მრავალი მოთამაშით, რომელთა შორის ერთი მთავარი მოთამაშეა და მრავალი მოთამაშით, რომელთა შორის ერთი ფიქტიური მოთამაშეა. მიღებულია მოთამაშეთა მოგებების გამოსათვლელი ფორმულები.

2. მარაგთა მართვის ერთი მრავალარხიანი ამოცანის მათემატიკური მოდელის დამუშავება (ჯ. გიორგობიანი, მ. ნაჭყებია). მარაგთა მართვის მორანის მოდელი მნიშვნელოვნად არის განზოგადებული. ერთარხიანის ნაცვლად განიხილება მრავალარხიანი სისტემა შემთხვევითი ნაკადებით. მომსახურება დროის განსახილველ პერიოდში რეგულარულია და სხვადასხვაა არხებზე. საჭიროა დადგინდეს მომსახურების ისეთი ინტენსივობები, რომლის დროსაც გარკვეულ პირობებში მიიღწევა დანაკარგების მინიმუმი. დანაკარგები შედგება ზარალი-საგან ნაკადთა გარკვეული ნაწილის მოუმსახურებლობის გამო და ე.წ. ჯარიმებისაგან დეფიციტის გამო. მოდელი მასობრივი მომსახურების ფორმისაა, მისი პრაქტიკული ანალოგებია ჰიდროენერგეტიკული სისტემა და მრავალი ამოცანა საბაზრო ეკონომიკიდან.

3. აგროსამრეწველო ინტეგრირებული ფორმირებების ოპტიმალური ფუნქციონირების ეკონომიკური მათემატიკური მოდელისა და მათი რეალიზების შესაბამისი ალგორითმების დამუშავება (მ. ნიკოლეიშვილი). განიხილება ორი ტიპის ინტეგრირებული საწარმო. პირველი ტიპის ინტეგრირებული საწარმო აწარმოებს, ამუშავებს და ბაზარზე სარეალიზაციოდ გააქვს მალეფუჭებადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, მარაგის შექმნა ეკონომიკურად გაუმართლებელია. მეორე ტიპის ინტეგრირებული საწარმო აწარმოებს, ამუშავებს და ბაზარზე სარეალიზაციოდ ამზადებს ისეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, რომელიც შეიძლება რეალიზებული იქნეს დამზადებიდან გარკვეული დროის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში მარაგების შექმნა ეკონომიკურად გამართლებულია და ამოცანა ღებულობს დინამიკურ შინაარსს. ორივე ამოცანაში ისმის წარმოება-გასაღების ისეთი რეჟიმების დადგენის ამოცანა, რომლის

დროსაც გარკვეულ ეკონომიკურ და ტექნიკურ პირობებში მიიღწევა მოსალოდნელი მოგების მაქსიმუმი. ორივე ტიპის ამოცანისათვის შემოთავაზებულია რეალიზების რიცხვითი ალგორითმები.

